# ხელშეკრულება

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 43

**ქ. ჯვარი** **10 აგვისტო 2020 წელი**

**შემსყიდველი: სსიპ კოლეჯი „ლაკადა“,** წარმომადგენელი მისი - დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით.
**მისამართი:** ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ № 2.
ტელ: 595 50 67 32
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22.
საიდენტიფიკაციო კოდი - 242728679;

**მიმწოდებელი: შპს „ინსტა“-** წარმომადგენელი მისი - გიორგი ბახსოლიანის სახით.
მისამართი - ქ. თბილისი, ორხევი, ალ. ქართველიშვილის ქ. № 12;
ტელ: 577 21 33 25
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, კოდი: TBCBGE22;
**ანგ №GE05TB0600000038467661**

საიდენტიფიკაციო კოდი: 202 057 264

ერთის მხრივ, „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ „მიმწოდებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1] ” ქვეპუნქტისა და 28.07. 2020 წლის № MES 9 20 0000639464 სამსახურებრივი ბარათი საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.“ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2.“ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3.“დღე“,“კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4.“შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.“მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც, ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6.“საქონელი“ - ხელშეკრულების მე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ელექტროობის მე-4 საფეხურის მოდულის ,,პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება " განსახორციელებლად სასწავლო პროცესისთვის საჭირო შეძენილ იქნას საწარმოო პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემები,კონტროლერი,ლიცენზირებული პროგრამული პაკეტი. **(CPV38800000-2 901,45; CPV48900000 -1 677,20 )** რომლის აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე - 3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში.

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **- 4 578,65 (ოთხი ათას ხუთას სამოცდათვრამეტი ლარი და 65 თეთრი)** ლარი.

3.2. ხელშეკრულების ობიექტის მახასიათებლები და ერთულის ფასები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

| № | საქონლის დასახელება/სპეციფიკა | CPV - კოდი | განზომილება /ერთეული/ | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | SIMATIC HMI, KTP400 - საწარმოო მართვის მოწყობილობები | 38810000 | ცალი | 1 | 1 713,45 | 1 713,45 |
| 2 | SIMATIC S7-1200, CPU 1212C - საწარმოო მართვის მოწყობილობები | 38810000 | ცალი | 1 | 1 188,00 | 1 188,00 |
| 3 | პროგრამული უზრუნველყოფა | 48920000 | ცალი | 1 | 1 677,20 | 1 677,20 |
| | | | | | | **4 578,65** |

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დაგენილ ყველა გადასახადს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდებ აუნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება: 100 % ან 50 % წინასწარი გადახდა.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამ) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4. დაფინანსების წყარო: ვაუჩერული დაფინანსების ეკონომია.

## 5. შესყიდვის ობიექტისმ იღება-ჩაბარების წესი .

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2.მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების და დასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.3.შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 4-6 კვირა ანგარიშსწორებიდან (ხელშეკრულების გაფორმებიდან 21 სექტემბრამდე).

6.2 საქონლის გატანას მიმწოდებლის სავაჭრო ობიექტებიდან მყიდველი განახორციელებს თავისი ხარჯით.

## 7. მხარეთაუფლება მოვალეობები

7.1. მხარეები სრულად აგებენ პასუხს ერთმანეთის წინაშე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად დამდგარი ზიანისათვის, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

7.2. მყიდველის მიერ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერიგადახდის ვადის დარღვევისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია, ხოლო მყიდველი ვალდებული მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10%-სა.

7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

8.1.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს ახორციელებს პროგრამის სპეციალისტი.

8.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მომწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვლდებულებისაგან.

## 9 .ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადისა.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ანუ არ უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზემეტი ოდენობით.

10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 12. გარანტია

12.1. მიმწოდებელი განსაზღვრავს საქონლის ვარგისიანობის საგარანტიო 12 თვიან ვადას („გარანტიის ვადა“) მყიდველისათვის საქონლის გადაცემის შემდგომ.
12.2. გარანტიის ვადაში საქონლის ნაკლის გამოვლენისა და შესაბამისი პრეტენზიის მყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის წარდგენის შემთხვევაში მიმწოდებული ვალდებულია გამოასწოროს ან შეცვალოს ნაკლოვანი ნივთი ახლით მყიდველის მიმართვიდან გონივრულ ვადაში. ნაკლის გამოსწორებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს მიმწოდებელი.
12.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ვალდებულება არ წამოიშვება თუ ნაკლი გამოწვეულია მყიდველის მიერ საქონლის არასათანადო, ჩვეულებრივი მოხმარებისათვის შეუსაბამო მომხმარებით ან არასწორი დამონტაჟებით.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ინტერესთა კონფლიქტი

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისმე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

15.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 16. ზოგადი დებულებები

16.1. არც ერთ მხარეს არა ქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

16.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:**

**შემსყიდველის მხრიდან:**

**სსიპ კოლეჯი „ლაკადა’ -ს**

**დირექტორის მ/შ: თეანა ქუხილავა**

---

TEANA KUKHILAVA

TEANA KUKHILAVA
cn=TEANA KUKHILAVA, o=LEPL COLLEGE "LAKADA', ou=COLLEGE "LAKADA', email=ssipjvari@gmail.com, c=GE
2020.08.10 13:14:11 +04'00'

**მიმწოდებლის მხრიდან:**

**შპს „ინსტა“ –ს წარმომადგენელი**

---

insta Electrical Solutions

Digitally signed by George Bakhsoliani
Date: 2020.08.10 14:27:30 +04'00'